

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა

იაპონიის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის აღიარება მსოფლიოს მიერ



შირაკამი-სანჩი

იაპონიაში შემორჩენილი ხელუხლებელი ტყეები. სიბოლდის წიფლის ხეები ნაპოვნია შირაკამის მთებში.

2013 წლისთვის იაპონიის 17 ღირშესანიშნაობაა შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ამას გარდა, იაპონიას აქვს მრავალფეროვანი ბუნებრივი სილამაზე და მრავალსაუკუნოვანი განსხვავებული კულტურული ისტორია, რომელმაც მოგვცა მრავალი ნაგებობა და დღემდე შემორჩენილი კულტურული თავისებურებები.

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია

ოფიციალურად წოდებული, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, რომელიც ეხება მსოფლიოს კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, მიღებულ იქნა 1972 წლის 16 ნოემბერს, იუნესკოს XVII გენერალური კონფერენციის მიერ. კონვენციის მიზანია დაიცვას და შეინახოს ის ადგილები და ღირსშესანიშნაობანი, რომლიც წარმოადგენს მთელი კაცობრიობის

მემკვიდრეობის განუმეორებელ ნაწილს. ამაში შედის ისტორიული და არქეოლოგიური ადგილები, მონუმენტები და ნაგებობები, ასევე ბუნებრივი მახასიათებლები, ბუნების ადგილები, გეოგრაფიული და ფიზიოგრაფიული ფორმირებები. კონვენცია ასევე განსაზღვრავს მისი ხელმძღვრეო ქვეყნების მოვალეობებს და აღნიშნავს თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი სხვადასხვა დანიშნულებისთვის, კერძოდ, სწავლებისა თუ ტრენინგების დასახმარებლად, ტექნიკური კოოპერაციისათვისა თუ საგანგებო სიტუაციების დროს დახმარების აღმოსაჩენად.

2012 წლის ივლისში 189 ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია და მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალში შეყვანილ იქნა 962 ღირსშესანიშნაობა. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების დახურვის ცერემონია გაიმართა კიოტოში, 2012 წლის ნოემბერში.

კულტურული ღირსშესანიშნაობანი

ბუდისტური მონუმენტები ჰორიუჯის ტერიტორიაზე (მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეყვანის თარიღი: 1993 წ.)

ნარას პრეფექტურაში მდებარე ჰორიუჯის ტაძარი აიგო პრინც შიოტოკუს (574-622 წწ.) ბრძანებით VII საუკუნეში. პრინცმა გადაწყვიტა როლი ითამაშა იაპონიაში ბუდიზმის შეტანაში. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის გარკვეული ნაწილი 670 წელს გაჩენილი ხანძრის გამო განადგურდა, იგი მალევე აღადგინეს უფრო ფართო მასშტაბით და ამ ახალ ნაწილს მოგვიანებით ეწოდა დასავლური უბანი. დარჩენილი პაგოდა, მთავარი დარბაზი (*კონდო*), შიდა კარიბჭე (*ჩიუმონ*) და გარშემორტყმული დერეფნების ნაწილი წარმოადგენს მსოფლიოს უძველეს ხის ნაგებობებს, დათარიღებულს VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისით. აღმოსავლური უბანი ტაძარს დაემატა VIII საუკუნეში. მსოფლიო მემკვიდრეობაში შეტანილია ამ მონუმენტის 48 ნაგებობა.

ფუჯისანი, წმინდა ადგილი და მხატვრული შთაგონების წყარო (2013)

ზღვის დონიდან 3.776 მეტრზე მდებარე ფუჯის მთა, იგივე "ფუჯისანი", იგივე ფუჯიამა, იაპონიის ყველაზე მაღალი მთაა, რომელიც ამოზიდულია შიძუოუკასა და იამანაშის პრეფექტურებს შორის. დათოვლილი ფუჯისანის გამოსახულება იაპონიის ხატოვან სიმბოლოდაა აღიარებული მთელ მსოფლიოში. ფუჯის მთა დღემდე მოქმედ ვულკანს წარმოადგენს, რომელსაც ედოს პერიოდიდან (XVIII ს.) მოყოლებული ჯერ არ ამოუხეთქავს. ფუჯიამას საკუთრება მოიცავს 25 ღირსშესანიშნავ ადგილს, რომელიც საკრალური და მხატვრული ფუჯისანის ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია. ფუჯის მთა, უკვე დიდი ხანია,



ფუჯისანი
გაზაფხულის სიმწვანეში არეკლილი
მოთოვლილი ფუჯისანი

რაც პილიგრიმებისთვის - მიმზიდველ და პოეტებისა და მხატვრებისთვის კი შთაგონების ადგილად იქცა.

XII საუკუნეში ფუჯისანი გახდა ასკეტური ბუდიზმისთვის მოსამზადებელი ცენტრი, რომელიც თავის თავში მოიცავდა შინტოს ელემენტებს. ფუჯიამას წარმოიჩინა იაპონურ ხელოვნებაში ჯერ კიდევ XI საუკუნეში იღებს სათავეს, მაგრამ XIX საუკუნის ხედების გრავიურებმა, რომელშიც ის ქვიშიანი სანაპიროსა და ფიჭვის ხეების ტყეების მიღმა გამოსახული, ფუჯის მთა გახდა იაპონიის საერთაშორისოდ აღიარებული ხატება, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია დასავლურ ხელოვნებაზე.

გუსუკუს ღირსშესანიშნაობანი და მასთან დაკავშირებული რიუკიუს სამეფოს მახასიათებლები (2000 წ.)

XV საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, 400 წლის განმავლობაში, რიუკიუს არქიპელაგი, ოკინავასა და სხვა ბევრი კუნძულის ჩათვლით, იმართებოდა რიუკიუს სამეფოს მიერ. რიუკიუს დიალექტზე სიტყვა *გუსუკუ* ნიშნავს ციხესიმაგრეს ან გალავნიან შემადლებულ ადგილს. ცხრა ღირსშესანიშნაობაში შედის ციხის ნანგრევები და წმინდა ადგილები, რომლებიც წარმოადგენენ ამ კუნძულებზე არსებული განსხვავებული კულტურის დამადასტურებელ მნიშვნელოვან არტეფაქტებს. შიურის ციხესიმაგრე, რომელიც მდებარეობს ქალაქ ნაჰაში, წარმოადგენდა რიუკიუს სამეფოს მთავარ ციხესიმაგრეს.

ჰიმეჯი-ჯო (1993 წ.)

ჰიმეჯი-ჯო მდებარეობს ქალაქ ჰიმეჯიში, ჰიოგოს პრეფექტურაში. მისი სიმაღლისა და ელევანტური სითეთრის გამო ჰიმეჯი-ჯო ასევე ცნობილია, როგორც შირასაგის (თეთრი ყანჩა) ციხე. თუმცა ციხე XIV საუკუნის შუახანებშია აშენებული, მისი 83 კონსტრუქცია აშენდა 1601-1609 წლებს შორის. გარდა იმისა, რომ ჰიმეჯი-ჯო უმშვენიერეს არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს, მას ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება. კერძოდ, თავდამსხმელებს, რომლებიც გარე კედელს გასცდებოდნენ, კვლავ უხდებოდათ კარგად დაცული ლაბირინთის გასასვლელელებში ბრძოლა, სანამ მიაღწევდნენ ოთხგანყოფილებიან დონჟონს (ციხესიმაგრის მთავარ კოშკს). მთავარი ნაგებობა მდებარეობს 45 მეტრის სიმაღლის ბორცვზე და მასთან მიმდებარე დასავლეთის ნაწილთან ერთად იგი სამმაგი გალავნითაა გარშემორტყმული. მთავარი კოშკი გარედან ხუთსართულიანია, შიგნიდან კი - შვიდსართულიანი.

ჰირაიძუმი (2011 წ.)

ჰირაიძუმი მდებარეობს ტოჰოკუს რეგიონში. ჰირაიძუმში ბევრია ტაძრები, ბაღები და ოშიუ ფუჯივარას კლანის სხვადასხვა ისტორიული ნაშთები. ეს კლანი XI საუკუნის დასაწყისიდან 100 წლის განმავლობაში მართავდა ტოჰოკუს რეგიონს. ამ ადგილზე არსებობს წმინდა მთაც. ეს მთა ექსკლუზიურად იაპონური სამშენებლო მასალითა და იაპონური მებაღეობის სტილის დაცვით გაკეთდა. აქ ტაძრები და ბაღები ბუდისტური წმინდა მიწის იდეას ატარებენ. ბუდისტური აზროვნების ეს მიმართულება განსაკუთრებით ამ პერიოდში აღორძინდა იაპონიაში. აზროვნების ეს მიმართულება გამოხატავდა მშვიდობიან სამყაროს, კონფლიქტების გარეშე. განსაკუთრებით ცნობილია ჩიუსონ-ჯის ტაძარი. მასში მოთავსებულია ბუდას ოქროს სკულპტურები. ასევე აღსანიშნავია მოცუ-ჯის ტაძარი, სადაც წყალსატევი განასახიერებს წმინდა მიწას. ეს ორივე ტაძარი მოგვაგონებს გარდასულ დროთა სიდიადეს.

ჰიროშიმის მშვიდობის მემორიალი (გენბაკუს გუმბათი) (1996 წ.)



ჰიროშიმის მშვიდობის მემორიალი ადგილი, სადაც 1945 წლის 6 აგვისტოს ჩამოვარდებულ იქნა ატომური ბომბი ჰიროშიმაში. მდებარეობს ჰიროშიმის პრეფექტურის სამრეწველო ხელშეწყობის შენობიდან 160 მეტრის დაშორებით (სამხრეთ-აღმოსავლეთით). ნაგებობა ცნობილია როგორც გენბაკუს გუმბათი ან ატომური ბომბის გუმბათი.

ჰიროშიმის მშვიდობის მემორიალი ასევე ცნობილია როგორც გენბაკუს გუმბათი ან ატომური ბომბის გუმბათი. იგი დაკონსერვებულია იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იგი იმყოფებოდა 1945 წლის 6 აგვისტოს ატომური ბომბის ჩამოვარდების შემდეგ. ნაგებობა თავდაპირველად აშენდა 1915 წელს როგორც ჰიროშიმის პრეფექტურის სამრეწველო ხელშეწყობის შენობა. მსოფლიო მემკვიდრეობის მრჩეველთა საბჭოს შეფასებით იგი მსოფლიოს მშვიდობის ძლიერი სიმბოლოა, რომელიც მიღწეულია აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, მას შემდეგ რაც კაცობრიობამ შექმნა ყველაზე გამანადგურებელი იარაღი.

ძველი კიოტოს ისტორიული მონუმენტები (ქალაქები: კიოტო, უჯი და ოცუ) (1994 წ.)

794-1868 წლებში, 1000-ზე მეტი წლის განმავლობაში, იაპონიის ძველ დედაქალაქ კიოტოში მდებარეობდა საიმპერატორო სასახლე, როგორც იაპონიის კულტურული ცენტრი. კიოტო მდიდარია ტრადიციული არქიტექტორული ნაგებობებით, მათ შორის ბუდისტური ტაძრებით, შინტოს სალოცავებით და საიმპერატორო ვილებით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კიდევ

ბევრი ღირშესანიშნაობის ჩამოთვლა, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესულია მხოლოდ 17. მათ შორისაა კიომიძუდერას ტაძარი, ცნობილი განიერი ვერანდით, რომელიც ქალაქს აღმოსავლეთიდან გადაჰყურებს; კინკაკუჯი (ოქროს პავილიონის ტაძარი) და გინკაკუჯი (ვერცხლის პავილიონის ტაძარი). ეს ორივე ტაძარი XV საუკუნეში აშკარაა შიოგუნების ვილებს წარმოადგენდა. ძენის ტაძარი, რიოანჯი, წარმოადგენს იაპონიის ყველაზე ცნობილი ძენის სტილის ბაღს. ელეგანტური ნიჯიო-ს ციხე წარმოადგენდა ტოკუგავა შიოგუნების საცხოვრებელ ადგილს მათი კიოტოში ვიზიტების დროს. კიოტოს სამხრეთით მდებარეობს ქალაქი უჯი და მისი ბიოდონის ტაძარი, რომელიც განეკუთვნება ჰეიანის პერიოდს (794- 1185 წწ.) და მის უმშვენიერეს არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს, ჰოდო (ფენიქსის დარბაზი).

ძველი ნარას ისტორიული მონუმენტები (1998 წ.)



ნარას დიდებული ბუდა
ბუდა ბირუშანას ეს თხუთმეტმეტრიანი ბრონზის სკულპტურა შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 752

710-784 წლებში ნარა იაპონიის დედაქალაქი იყო. თანგის ჩინეთის რელიგიური და კულტურული (ლიტერატურა, მხატვრობა, არქიტექტურა და ა. შ.) ზეგავლენით იგი იაპონური კულტურის აყვავების ცენტრად იქცა. ნარა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან ბუდისტურ ცენტრს იაპონიაში და ეს მემკვიდრეობა შესაბამისადაა წარმოდგენილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. მათგან ყველაზე შთამბეჭდავია ტოდაიჯის ტაძრის დიდებული ბუდას დარბაზი. წარმოადგენს რა მსოფლიოში უდიდეს ხის კონსტრუქციას, მასში მოთავსებულია თხუთმეტმეტრიანი ბრონზის სკულპტურა ცნობილი ნარას დიდებული ბუდა-ს სახელით. ბუდისტური არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუშები მოიპოვება კოფუკუჯის, იაკუმიჯის და ტოშოდაჯის ტაძრებშიც. კასუგას სალოცავი გამოირჩევა შინტოს არქიტექტურული სტილით (*კასუგა-ძუკური*).

შირაკავა-გოს ისტორიული სოფლები და გოკაიამა (1995 წ.)



შირაკავა-გო
ჩალით გადახურული გაშიო-ძუკური ფერმები შირაკავა-გოს ტერიტორიაზე (ფოტო Getty Image-სგან)

სამი მთიანი სოფელი: ოგიმაჩი, აინოკურა და სუგანუმა შირაკავა-გოს/გოკაიამას ტერიტორიაზე მდებარეობს და ამ სოფლებში *გაშიო-ძუკურის* სტილის ბევრი ფერმაა. ჩალის დაცერებულსახურავიან სახლებს ამ იზოლირებულ და მიყრუებულ სოფლებში ზამთარში დიდთოვლობისთვის უნდა გაეძლოთ; ზედა სართულის აგება სპეციალურად იყო დაგეგმილი, რომ აბრეშუმის ჭიის მოსაშენებლად მოსახერხებელი ყოფილიყო.

იგუკუშიმა შინტოს სალოცავი (1996 წ.)



გადმოცემით ეს სალოცავი დაარსდა 593 წელს. ის მდებარეობს ჰიროშიმას ყურის კუნძულზე, რომელიც უძველესი დროიდან წმინდა ადგილად ითვლებოდა. სალოცავი ცნობილია მისი დიდი კარიბჭით, რომელიც 160 მეტრითაა შეჭრილი ყურეში და ზღვის მოქცევის დროს მისი ულამაზესი ღია წითელ ფერში ნაგები სალოცავები (ტორი) თითქოს წყალზე ტივტივებენ.

იგუკუშიმას ტაძარი ეძღვნება საზღვაო ტრანსპორტირების სამ მფარველ ღვთაებას. აშენდა ჰიროშიმას ყურეში. ეს ტაძარი და მისი მიმდებარე კუნძული ითვლება იაპონიაში სამიდან ერთერთ ყველაზე ულამაზეს ბუნების პეიზაჟად. (ფოტო Getty Images-სგან)

ივამი გინძანის ვერცხლის მადარო და მისი კულტურული მახასიათებლები (2007 წ.)

ეს ვერცხლის მადარო მდებარეობს შიმანეს პრეფექტურის ქალაქ ოდაში. იგი მუშაობდა XVI საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნემდე, დახლოებით 400 წლის განმავლობაში. XVI, XVII საუკუნეებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ, მადაროში იღებდნენ დიდძალი რაოდენობის ვერცხლს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია იაპონიისა და აზიის ეკონომიკურ განვითარებაზე. იმ დროს ვერცხლი საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

წმინდა ადგილები და მომლოცველთა მარშრუტი კიის მთებში (2004 წ.)



კონპონ დაიტო კოისანში ეს ღია წითელ ფერში შეღებილი პავილიონი განასახიარებს წმინდა კოისანის მთის სიმბოლოს

იოშინოს და ომინეს წმინდა ადგილები, კუმანო სანძანი და კოისანის მდებარეობენ კიის მთებში, ძველი სატახტო ქალაქების, კიოტოსა და ნარას სამხრეთით, ტყით დაბურულ რეგიონში. იოშინო და ომინე მოიცავს შიუგენდოს (მთის ბუდისტური ასკეტური სექტა) მთიან ტაძრებს, რომელშიც ბევრია შინტოს ელემენტი. კუმანო სანძანი სამი სალოცავის კრებითი სახელია. იგი მდებარეობს კუმანოს რაიონში. კოისანის ბუდისტური სამონასტრო კომპლექსია, რომელიც ამავე სახელწოდების მთაზე მდებარეობს.

ნიკოს სალოცავები და ტაძრები (1999 წ.)

ნიკო ტომიოგუს ყველაზე ცნობილი ღირშესანიშნაობაა. შინტოს სალოცავი XVII საუკუნეში დაარსდა და მასში ტოკუგავა იეასუს მავზოლეუმი. ტოკუგავა იეასუ ტოკუგავა *შოგუნატის* ფუძემდებელია. იომეიმონი, რომელიც ამ სალოცავის მთავარი კარიბჭეა, მდიდრულადაა დეკორირებული კამკაშა ფერის ლამაზი ფიგურებით. ნიკოში აგრეთვე მდებარეობს ფუტარასანის სალოცავი და ბუდისტური ტაძარი რინოჯი. აქვეა ტყე უზარმაზარი კვიპაროსის ხეებით, რომელიც დაირგო დაახლოებით იმავე დროს როცა აიგო ტომიოგუ.

ბუნების ღირშესანიშნაობანი

ოგასავარას კუნძულები (2011 წ.)

30 კუნძულისგან შემდგარი ეს ტერიტორია მდებარეობს წყნარ ოკეანეში, ტოკიოდან სამხრეთ აღმოსავლეთით, დაახლოებით 1000 კილომეტრის დაშორებით. ჩიჩიჯიმასა და ჰაკაჯიმასაგან განსხვავებით დანარჩენი კუნძულები დაუსახლებელია. კუნძულები მდიდარია სხვადასხვა სახეობის ფლორითა და ფაუნით. ისინი ულამაზესი პეიზაჟით გამოირჩევიან. რადგან არსებული ეკოსისტემა იზოლირებულია, ცოცხალი ორგანიზმები აქ სრულიად უნიკალურია. შეიძლება 600-ზე მეტი ენდემური ჯიშის დასახელება, როგორც ცხოველის, ასევე მცენარის, მაგალითად, *pteropus pselaphon* (მფრინავი მელა). ეს კუნძულები, დაახლოებით 57 ჯიშის გადაშენების ზღვარზე მყოფი ცხოველისა და მცენარისათვის ფასდაუდებელ ეკოსისტემას წარმოადგეს.

შირაკამი-სანჩი (1993 წ.)

მდებარეობს იაპონიის მთავარი კუნძულის, ჰონშიუს ჩრდილოეთით. შირაკამის მთები დაფარულია ხელუხლებელი ტყეებით, სადაც სიბოლდის წიფლის უნიკალური ხეებია (იხ. სურათი 1) გავრცელებული. იაპონური შავი დათვი, იაპონური თხა და ფრინველის მრავალი ჯიშის სწორედ ამ ტყეებში გვხვდება.

შირეტოკო (2005 წ.)

შირეტოკოს ნახევარკუნძული იაპონიის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. იგი დაფარულია წიწვოვანი ტყეებით და მასიური ვულკანური წარმონაქმნებით. იგი იაპონიის ყველაზე მივარდნილი და მიყრუებული რეგიონია. შირეტოკო ხმელეთისა და ზღვის ეკოსისტემების ურთიერთობის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს და



შირეტოკო
ჰოკაიდოში, შირეტოკოს ნახევარკუნძულზე უამრავი გარეული ცხოველი ბინადრობს ხელუხლებელ ბუნებაში (ფოტო AFLO-სგან)



ასევე საუკეთესო ჰაბიტატია გადაშენების პირას მისული მრავალი ცხოველისა და მცენარისათვის.

იაკუშიმა (1993 წ.)

იაკუშიმას კუნძულის ერთ მეხუთედზე მეტი შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ეს კუნძული იაპონიაში ყველაზე დიდი ნალექიანობის მქონეა, რომელსაც სუბტროპიკული სანაპირო გააჩნია. იაკუშიმას კუნძულზე არის კიუშუს რეგიონის ყველაზე მაღალი მთა. ტყეები აქ სავსეა ათასწლოვანი კვიპაროსის ხეებით. ამ ხეთაგან ერთერთი, ცნობილი როგორც იომონ სუგი, დაახლოებით შვიდი ათას წელზე მეტი ხნისაა.